ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1935 წ. მაისის 20. № 13 ტფილისი

შინაარსი

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

66. 1935 წლის მოსავლის თამბაქოს კონტრაქტაციის გეგმის შესახებ.

67. 1935 წლის მოსავლის ნედლი ბამბის კონტრაქტაციის შესახებ.

68. 1935 წლის მოსავლის შაქრის ჭარხლის კონტრაქტაციის შესახებ.

ვაჭრობა. მომარაგება.

69. კოლექტიური მეურნეობებისა და ერთპიროვნული მეურნეობების მიერ 1935 წლის მოსავლიდან სახელმწიფოსათვის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარების შესახებ.

70. კოლექტიური მეურნეობებისა და ერთპიროვნული მეურნეობების მიერ 1935 წლის მოსავლიდან სახელმწიფოსათვის კარტოფილის სავალდებულო ჩაბარების შესახებ.

მიწა, ტყე, წყალი. სოფლის მეურნეობა.

66. დადგენილება ს.კ.ს. და ს.კ.პ. (ბ) ც.კ.

1935 წლის მოსავლის თამბაქოს კონტრაქტაციის გეგმის შესახებ.

„1935 წლის მოსავლის თამბაქოს და წეკოს კონტრაქტაციის გეგმის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. თებერვლის 25-ის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაწესებულ იქნას საქართველოს სსრ-ში გეგმა 1935 წლის მოსავლის თამბაქოს პროდუქციის კონტრაქტაციისა კოლმეურნეობებში, კოლმეურნეებთან (განუსაზოგადოებულ ნარგავთა ნაწილისა) და ერთპიროვნულ მშრომელ მეურნეობებში 12.570 ტონის რაოდენობით, მათ შორის აფხაზეთისათვის—7320 ტონა და საქართველოს მეთამბაქოობის სხვა რაიონებში—5250 ტონა.

2. დასაკონტრაქტებელი პროდუქციის ამ რაოდენობით მიღების უზრუნველსაყოფად დაწესებულ იქნას ნარგავთა გეგმა 19.200 ჰექტ., აქედან აფხაზეთისათვის—12.000 ჰექტ. და საქართველოს მეთამბაქოობის სხვა რაიონებისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის—7.200 ჰექტ.; დაწესებულ იქნას ნედლეულის ჩაბარების (გაყიდვის) საშუალოდ დებულო საშუალო რაოდენობა ჰექტარზე საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა მიხედვით აფხაზეთში—6.1 ცენტნ., ხოლო საქართველოს მეთამბაქოობის სხვა რაიონებში—7.3 ცენტნ.

3. დამტკიცდეს დასაკონტრაქტებელი პროდუქციის ნარგავთა დარგვისა, ჩაბარების სავალდებულო ნორმისა (ჰექტარზე) და დასაკონრაქტებელი პროდუქციის საერთო რაოდენობის გეგმის შემდეგი რაიონობითი განაწილება სექტორებზე საქართველოს მეთამბაქოობის რაიონებისათვის (უაფხაზეთოდ).

რაიონები	დარგვის გეგმა ჰექტ.			ჩაბარების ნორმები ჰექტ. ცენტნ.			დასაკონტრაქტებელი პროდუქ. ტონ.		
	კოლმ.	ერთპირ. მეურნ.	სულ	კოლმ.	ერთპირ. მეურნ.	საშუალო	კოლმ.	ერთპირ. მეურნ.	სულ
ლაგოდეხის	2460	840	3300	8,35	9,16	8,56	2054,1	769,4	2823,5
სიღნაღის	700	875	1575	6,82	7,50	7,20	477,4	656,2	1133,6
ყვარლის	60	240	300	7,10	7,81	7,67	42,6	187,4	230,0
გურჯაანის	50	100	150	6,10	6,71	6,51	30,5	67,1	97,6
ბორჩალოს	77	123	200	6,00	6,60	6,33	46,1	81,0	127,1
ზუგდიდის	36	224	260	4,70	5,17	5,10	16,9	115,8	132,7
წალენჯიხის	60	40	100	4,60	5,06	4,78	27,6	20,2	47,8
ჩხოროწყუს	52	118	170	4,60	5,06	4,92	23,9	59,7	83,6
ჩოხატაურის	389	81	470	4,31	4,75	4,38	167,6	38,4	206,0
აჭარისტანის ასსრ .	435	240	675	5,27	5,79	5,45	229,2	138,9	368,1
ს უ ლ	4319	2881	7200	7,20	7,42	7,30	3115,9	2134,1	5250,0

4. ნება დაერთოს აჭარისტანის ასსრ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და საქ. კ. პ. (ბ) აჭარისტანის საოლქო კომიტეტს, საქართველოს სსრ მეთამბაქოობის რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და პარტიის სარაიონო კომიტეტებს, ამ დადგენილების მე-3 მუხლის თანახმად დაწესებული ჩაბარების საუშალო ნორმის (ჰექტარზე) და დასაკონტრაქტებული პროდუქციის ფარგლებში, შეცვალონ ხოლმე, თუ ეს საჭირო იქნება, პროდუქციის ჩაბარების ნორმები (ჰექტარზე) სექტორების მიხედვით; ამასთანავე ერთპიროვნული შრომითი მეურნეობების ჩაბარების ნორმები—10%-ით, ხოლო კოლმეურნეთა (განუსაზოგადოებელ ნარგავთა ნაწილში—5%-ით მეტი უნდა იყოს კოლმეურნეობათა ჩაბარების ნორმებზე.

5. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და საქ. კ.პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტს ამა დადგენილების

ეროვნული ბიბლიოთეკა

1-ლი და მე-2 მუხლების შესაბამისად განსაზღვრონ თამბაქოს დანერგვის გეგმა, ჩაბარების ნორმები 1 ჰექტარზე და დასაკონტრაქტებელი პროდუქციის რაოდენობა აფხაზეთის რაიონებისა და სექტორების მიხედვით, ამასთანავე გაითვალისწინონ ჩაბარების საშუალო ნორმები ერთპიროვნული მშრომელი მეურნეობებისათვის 10%-ით, ხოლო კოლმეურნეობებისათვის (განუსაზოგადოებულ ნარგავთა ნაწილის) 5%-ით მეტი კოლმეურნეობათა ჩაბარების ნორმებზე.

6. დაწესებულ იქნას საქართველოს (უაფხაზეთოდ) კოლმეურნეობათა, კოლმეურნეთა (განუსაზოგადოებულ ნარგავთა ნაწილის) და ერთპიროვნულ შრომით მეურნეობათათვის დასაკონტრაქტებელი თამბაქოს სავალდებულო ასორტიმენტი ცალკეული ბოტანიკური ჯიშებისა და რაიონების მიხედვით (5112 №-ის სამრეწველო სტანდარტით).

ბოტანიკური ჯიშები და რაიონები.	1 ხარისხი		2 ხარისხი		მე-3 ხარისხი		მე-4 ხარისხი		ს უ ლ	
	აბს. ტონ.	%%	აბს. ტონ.	%%	აბს. ტონ.	%%	აბს. ტონ.	%%	აბს. ტონ.	%%
ტრაპეზუნდის თესლი										
ლაგოდეხის . . .	33,9	1,2	508,2	18,0	1832,5	64,9	448,9	15,9	2823,5	100
სიღნაღის	24,9	2,2	317,4	28,0	621,3	64,8	170,0	15,0	1133,6	100
ყვარლის	1,2	0,5	23,0	10,0	139,1	60,5	66,7	29,0	230,0	100
გურჯაანიის . . .	1,0	1,0	18,5	19,0	58,6	60,0	19,6	20,0	97,6	100
ბორჩალოს . . .	0,6	0,5	22,9	18,0	78,2	61,5	25,4	20,0	127,1	100
აჭარისტანის ასსრ	12,9	7,0	40,5	22,0	100,2	54,5	30,4	16,5	184,0	100
სულ ტრაპეზუნ. თესლ.	74,5	1,6	930,5	20,2	2829,9	61,6	760,9	16,6	4595,8	100
სამსუნის თესლი										
ზუგდიდის რაიონი	2,7	2,0	19,9	15,0	88,9	67,0	21,2	16,0	132,7	100
წალენჯიხის „	1,2	2,5	7,2	15,1	31,5	65,9	7,9	16,5	47,8	100
ჩხოროწყუს „	2,1	2,5	15,0	18,0	52,7	63,0	13,8	16,5	83,6	100
ჩოხატაურის „	5,1	2,5	30,9	15,0	136,0	66,0	34,0	16,5	206,0	100
აჭარისტ. ასსრ. .	18,4	10,0	46,0	25,0	91,1	49,5	28,6	15,5	184,1	100
სულ სამს. თესლი	29,5	4,5	119,0	18,2	400,2	61,2	105,5	16,1	654,2	100
სულ ორივე ჯიში აჭარისტ. ასსრ-ში	31,3	8,5	86,5	23,5	191,3	52,0	59,0	16,0	368,1	100
სულ ორივე ჯიში საქ. ასრ-ში (უაფხაზეთოდ).	104,0	2,0	1049,5	20,0	3230,1	61,5	866,4	16,5	525,0	100

7. დაწესებულ იქნას დასაკონტრაქტებელი თამბაქოს შემდეგი სავალდებულო ასორტიმენტი ბოტანიკური ჯიშების მიხედვით აფხაზეთის ასსრ-ისათვის:

	1 ხარისხი	2 ხარისხი	3 ხარისხი	4 ხარისხი	5 ხარისხი
სამსუნი % . . .	0,5	2,4	16,6	75,3	5,2
ტრაპეზუნდი % .	0,5	3,5	20,0	70,0	6,0

დაევალოს აფხაზეთის ასსრ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტს დასაკონტრაქტებელი თამბაქოს ასორტიმენტის რაიონობითი დიფერენციაციის დროს დაიცვას ამ დადგენილებით დაწესებული ასორტიმენტი ცალკეული ბოტანიკური ჯიშების მიხედვით.

8. წინადადება მიეცეს აფხაზეთისა და აჭარისტანის ასსრ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთისა და აჭარისტანის საოლქო კომიტეტებს, საქართველოს სსრ მეთამბაქოობის ყველა დანარჩენი რაიონის სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და პარტიის სარაიონო კომიტეტებს არა უგვიანეს ა/წ. მარტის 27-ისა მოახდინონ დასაკონტრაქტებელი თამბაქოს ჩაბარების რაიონობითი ნორმებისა და ასორტიმენტის დიფერენციაცია ცალკეულ სოფლებზე, კოლმეურნეობებზე და სასოფლო საბჭოებზე, ნიადაგისა და სხვა პირობების მიხედვით, ისე რომ მთლად რაიონში ან ავტონომიურ რესპუბლიკაში დასაკონტრაქტებელი პროდუქცია შეესაბამებოდეს ამა დადგენილების მე-6 და მე-7 მუხლებით გათვალისწინებულ რაოდენობას და ასორტიმენტს

დაწესებულ იქნას, ამასთანავე, რომ კოლმეურნეობანი, რომელნიც მთლად შეასრულებენ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს (რაოდენობისა და ასორტიმენტის მიხედვით), გამოყოფენ დარჩენილი თამბაქოდან თამბაქოს ნედლეულის ფონდს გასაყიდად, ხოლო მთელ ზედმეტ წილს გაანაწილებენ კოლმეურნეობის წევრთა შორის შრომა-დღეების მიხედვით.

9. თამბაქოს კონტრაქტაცია დაწყებულ უნდა იქნას აპრილის 1-დან და დამთავრებულ არა უგვიანეს აპრილის 25-ისა.

დაევალოს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და პარტიის სარაიონო კომიტეტებს უზრუნველყონ ა/წ. 5 აპრილამდე კულაკური მეურნეობებისათვის თამბაქოს დარგვის მტკიცე დავალებათა ჩაბარება.

კონტრაქტაციის ჩაბარება, კონტრაქტანტებისათვის ფულადი ავანსების გაცემა და აგრო-საწარმოო, კონტროლი დაეკისროს აფხაზეთის ასსრ-ში — „აბთამბაქოს“, ხოლო საქართველოს მეთამბაქოობის სხვა რაიონებში — “სოიუზტაბაკსირიო“-ს საკავშირო შენაერთის საქართველოს განყოფილებას.

საკონტრაქტაციო ხელშეკრულებები დადებულ უნდა იქნას თითოეულ კოლმეურნეობასთან, კოლმეურნესთან (განუსაზოგადოებული ნარგავის ნაწილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ერთპიროვნულ შრომითს მეურნეობასთან ცალკე, ამასთანავე თითოეულ კონტრაქტანტს ხელშეკრულების ჩაბარების დროს აუცილებლად უნდა ჩაჰბარდეს საკონტროლო-საკონტრაქტაციო წიგნაკი.

წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და პარტიის სარაიონო კომიტეტებს—დააწესონ თამბაქოს დარგვის მინიმალური ფართობი ერთპიროვნული მეურნეობებისათვის 2.000 კვ. მეტ. რაოდენობით.

10. ფულადი საკონტრაქტაციო ავანსის საშუალო რაოდენობად დასაკონტრაქტებელი პროდუქციის ტონაზე დაწესებულ იქნას: აფხაზეთისათვის - 1.700 მან., ხოლო საქართველოს მეთამბაქოობის სხვა რაიონებისათვის—1.000 მან. ამასთანავე „ტრაპეზუნდის" თესლის ბოტანიკური ჯიშისათვის—980 მან., ხოლო „სამსუნის" ჯიშის თესლისათვის—1.140 მან.

ფულადი საკონტრაქტაციო ავანსის საერთო თანხა განისაზღვროს 17.694 ათასი მან., აქედან აფხაზეთისათვის—12.444 ათასი მან., ხოლო საქართველოს მეთამბაქოობის სხვა რაიონებისათვის—5.250 ათასი მან.

ავანსების გაცემის ვადები დაწესებულ იქნას მეთამბაქოობის ძირითადი საწარმოო პროცესების ჩატარების ვადების შესაბამისად: საქ. სსრ რაიონებში (უაფხაზეთოდ) ავანსის 30% გაცემულ უნდა იქნას 1935 წ. აპრილში, სანერგეების მოსამზადებლად; 40% მაისში, დასარგავად, და დანარჩენი 30% ივლისაგვისტოში, მოსავლის აღებისა და დამუშავებისათვის; აფხაზეთის სსრ-ში: 30% აპრილში, 30% ივნისში და 40% აგვისტოში.

11. დაწესებულ იქნას ფულადი ავანსების გაცემის შემდეგი რაიონობითი ნორმები დასაკონტრაქტებელი პროდუქციის ტონაზე სექტორობით ცალკეული ბოტანიკური ჯიშების მიხედვით საქართველოს (უაფხაზეთოდ) მეთამბაქოობის რაიონებში:

რაიონები	ტრაპეზუნდი			სამსუნი			სულ ორივე ჯიში		
	ავანსის ნორმა ტონაზე მანეთობით			ავანსის ნორმა ტონაზე მანეთობით			ავანსის ნორმა ტონაზე მანეთობით		
	კოლმ.	ერთპ. მეურ.	საერ. ჯამი	კოლმ.	ერთპ. მეურ.	საერ. ჯამი	კოლ.	ერთპ. მეურ.	საერთ. ჯამი
ლაგოდეხის	1046,0	804,0	2767,0	—	—	—	1046,0	804,0	2767,0
სიღნაღის	1131,0	870,0	1111,3	—	—	—	1131,0	870,0	1111,3
ყვარლის	1248,0	928,0	225,4	—	—	—	1208,0	928,0	225,4
გურჯაანის	1164,0	893,0	95,6	—	—	—	1164,0	896,0	95,6
ბორჩალოს	1148,0	883,0	124,5	—	—	—	1148,0	883,0	54,5
ზუგდიდის	—	—	—	1427,0	1098,0	151,6	1427,0	1098,0	151,6
წალენჯიხის	—	—	—	1263,0	972,0	54,5	1263,0	972,0	54,3
ჩხოროწყუს	—	—	—	1364,0	1050,0	95,3	1364,0	1050,0	95,3
ჩოხატაურის	—	—	—	1191,0	916,0	234,8	1191,0	916,0	234,8
აჭარისტ. ასსრ . . .	1075,0	826,0	180,0	1251,0	962,0	209,8	1151,0	894,0	390,0
სულ . . .	1067,0	848,0	4504,0	1239,0	1626,0	746,0	1086,0	873,0	5250,0

წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტს—დააწესონ სექტორებში ფულადი ავანსების გაცემის რაიონობითი ნორმებია. ამასთანავე, ამა დადგენილების მე-II მუხლის შესაბამისად, ფულადი ავანსი უნდა მიეცეს კოლმეურნეობებს 30%-ით მეტი, ხოლო კოლმეურნეებს (განუსაზოგადოებელ ნარგავთა ნაწილში) 15%-ით მეტი, ვიდრე ერთპიროვნულ შრომითს მეურნეობებს.

13. დაევალოს „აფთამბაქოს“ და „საქთამბაქონედლეულს“ სისტემატურად შეამოწმონ კონტრაქტანტების მიერ საწარმოო პროცესების შესრულება დადგენილი აგროწესების შესაბამისად და აღნიშნონ ხოლმე შემოწმების შედეგი მათ საკონტროლო-საკონტრაქტაციო წიგნაკებში.

14. მეთამბაქოობის აგრო-საწარმოო მომსახურეობა ყველა სექტორის ხაზით და მთელი პასუხისმგებლობა დანერგვის გეგმებისა, მოვლის, დამუშავების, და მოსავლის აღების აგროწესების შესრულებისა, სტანდარტების ჩანერგვისა და ნედლეულის ჩასაბარებლად გამზადებისათვის დაეკისროს საქართველოს სსრ-ისა და აფხაზეთის ასსრ-ის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებს და მათ სისტემას.

დაევალოს აფხაზეთისა და აჭარისტანის ავტონომიური რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთისა და აჭარისტანის საოლქო კომიტეტებს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და პარტიის სარაიონო კომიტეტებს უზრუნველყონ დარგვის, დამუშავების და მოსავლის აღების აგროწესების განხორციელება ისე, რომ 1935 წ. გადაიქცეს ახალ წარმატებათა წლად დიდი რაოდენობის და საუკეთესო ხარისხის თამბაქოს ნედლეულის მოპოების საქმეში.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი **ლ. ბერია.**

1935 წ. მარტის 27. № 378/.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 74 №-ში 1935 წ. მარტის 28.

---

67. დადგენილება ს.კ.ს. და ს.კ.პ. (ბ) ც. კ.

1935 წლის მოსავლის ნედლი ბამბის კონტრაქტაციის შესახებ.

„1935 წლის ნედლი ბამბის კონტრაქტაცის გეგმის შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1935 წ. მარტის 7-ის დადგენილების („იზვესტია“ 1935 წ. მარტის 8-ისა, № 58) შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. დაწესებულ იქნას ფულადი ავანსების რაოდენობა გეგმით ჩასაბარებელი ნედლი ბამბის თითო ტონაზე: კოლმეურნეობებისათვის—550 მან., შრომითი ერთპიროვნული მეურნეობებისათვის—412 მან. 50 კაპ., კულაკური მეურნეობებისათვის—275 მან.. ეს ავანსები უნდა გაიცეს შემდეგ ვადებზე (მანეთობით):

	ხელშეკრულების დადების დროს	დათესვისა და აღმოცაცენის შემოწმების შემდეგ	მიწის მეორედ შემოყრის შემდეგ.
კოლმეურნეობებს	100 მან.	225 მან.	225 მან.
ერთპიროვნულ მეურნეებს	75 „	168 „	169,5 „
კულაკურ მეურნეობებს . .	50 „	112,5 „	112,5 „

დაევალოს სამანქანო-სატრაქტორო სადგურთა დირექტორებს და სარაიონო სამიწათმოქმედო განყოფილებათა გამგეებს—გაანაწილონ კოლმეურნეთა შორის, მათ მიერ გამომუშავებული შრომა-დღეების ანგარიშში, კონტრაქტაციით მიღებული საავანსო თანხების 85%-ზე არა ნაკლები რაოდენობა.

ბანკის მიერ საკონტრაქტაციო ავანსების მიმღები მეურნეობებისათვის გადასახდევინებელი წლიური პროცენტი შემცირებულ იქნას 6%-დან 3%-მდე.

6. დატოვებულ იქნას 1935 წელს ბამბის ნედლეულის ჩამბარებელთათვის მცენარეული ზეთისა, კოპტონისა, ბამბის ან ლინტერის მიცემა 1934 წელს დაწესებული პირობების თანახმად.

7. განთავისუფლებულ იქნან ბამბის რაიონები სავსებით ორი წლის ვადით სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა და საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროებათათვის დაწესებული გამოსაღებისაგან, ხოლო ბამბის მქონე ერთპიროვნულ მეურნეობებს შეუმცირდეთ ეს გადასახადი და გამოსაღები 50%-ით.

8. დაწესებულ იქნას ნედლი ბამბის ჩაბარების შემდეგი კალენდარული ვადები (პროცენტობით წლიურ გეგმასთან): სექტემბერში—10%, ოქტომბერში—50% და ნოემბერში—40%.

9. დაწესებულ იქნას, რომ კოლმეურნეობანი, რომელნიც გადაჭარბებით შეასრულებენ ნედლი ბამბის ჩაბარების გეგმას, მიიღებენ გეგმის ზედმეტად ჩაბარებული ნედლი ბამბის თითოეული ცენტნერისათვის პრემიას-წანამატს.

უკეთუ ნედლი ბამბის ჩაბარების გეგმა ერთ ჰექტარზე გათვალისწინებულია 6 ცენტნერამდე, გეგმის ზედმეტად ჩაბარებულ თითოეულ ცენტნერზე წანამატი განისაზღვრება არსებული სადამზადებლო ფასის 50%-ის რაოდენობით.

უკეთუ ნედლი ბამბის ნედლეულის ჩაბარების გეგმა ერთ ჰექტარზე დაწესებულია 6 ცენტნერზე მეტი, მაგრამ არა უმეტეს 10 ცენტნერისა, გეგმის ზედ-

ბიბ. 67

დ ა ნ ა რ თ ი

1935 წლის მოსავლის ბამბის ნედლეულის კონტრაქტაციის გეგმა საქართველოს სსრ-ში

რაიონები	ფართობი ჰექტ-ით			ჩაბარების ნორმა ჰექტ. ცენტ.				კონტრაქტ. გეგმა ტონობით			
	სულ	მათ შორის		კოლმეურნეობანი		ერთპიროვნ. მეურნეობ.	ჩაბარების საშუალო ნორმა ჰექტარზე	კოლმეურნეობანი		ერთპიროვნული მეურნეობ.	სულ
		კოლმ.	ერთპირ.	უნატურ,-სასყიდ. სამანქ.-სატრ. სადგ.	სამ.-სატრ. სადგ. ნატურ-სასყიდლით			სულ	მათ შორის ნატურასასყიდ.		
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
ბორჩალოს	4.000	3.000	1.000	7,38	7,84	7,38	7,72	2352,2	138,8	737,8	3090,0
ყარაიას	1.000	750	250	9,04	9,65	9,04	9,5	723,9	45,5	225,1	950,0
ლუქსემბურგის	500	200	300	6,87	9,66	8,89	9,2	193,3	15,7	266,7	460,0
სულ . .	5.500	3.950	1.550	7,77	8,27	7,94	8,18	3269,4	200	1230,6	4500,0

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტად ჩაბარებულ თითოეულ ცენტნერზე წანამატი განისაზღვრება ამოცემული სადამზადებლო ფასის 100%-ის რაოდენობით.

ერთპიროვნულ მეურნეობებს პრემია-წანამატი ბამბის ნედლეულის ჩაბარების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის მიეცემათ კოლმეურნეობებისათვის დაწესებული პრემია-წანამატების 50%-ის რაოდენობით.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ბამბის მეურნეობის მოწესრიგებისათვის ჩატარებულ ღონისძიებებს (ბამბის პროგრამის შეთანხმება რაიონების ფაქტიურ შესაძლებლობასთან, თესვის საქმის გაუმჯობესება, კერძოდ, მთლიანად „915“ ბამბის თესლის თესვაზე გადასვლა, კოლმეურნეობებში სწორი თესლბრუნვის შემოღება), კონტრაქტაციის ახალ პირობებს, რაც კიდევ უფრო მეტ ინტერესს გამოიწვევს კოლმეურნეებში და ერთპიროვნულ მეურნეობებში მოსავლიანობის გადიდებისა და ბამბის თვისების გაუმჯობესების საქმისადმი,— შეუძლიათ და უნდა უზრუნველყონ კიდევაც საქართველოს მებამბეობის რაიონების მიერ სახელმწიფოსათვის 4.500 ტონა ნედლი ბამბის ჩაბარება.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი უსახავენ პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირის ორგანიზაციებს ამოცანას—საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებული სავალდებულო აგროწესების საფუძველზე, საგაზაფხულო თესვის ზედმიწევნით მომზადებითა და ჩატარებით და ბამბის კარგად დამუშავებით და აღებით უზრუნველყონ სახელმწიფოსათვის ამა დადგენილებით დაწესებული, ნედლი ბამბის გეგმების არა მარტო შესრულება არამედ გადაჭარბებით შესრულებაც.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი **ლ. ბერია.**

1935 წ. მარტის 28. № 384/.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 76 №-ში 1935 წ. მარტის 30.

---

68. დადგენილება ს. კ. ს. და ს. კ. პ. (ბ) ც. კ.

1935 წლის მოსავლის შაქრის ჭარხლის კონტრაქტაციის შესახებ.

„1935 წლის მოსავლის შაქრის ჭარხლის კონტრაქტაციის შესახებ“ გამოცემული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წ. მარტის 13-ის დადგენილების შესაბამისად („იზვესტია“-ს-63-№-ი მარტის 14-ისა), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. დამტკიცებულ იქნას გეგმა 1935 წლის მოსავლის შაქრის ჭარხლის კონტრაქტაციისა კოლექტიურ მეურნეობებში (სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისათვის ნატურსასყიდლის სახით ჩასაბარებელ ჭარხალთან ერთად) და ერთპიროვნულ საგლეხო მეურნეობებში 483.189 ცენტნერის რაოდენობით; აქედან:

ხაშურის რაიონში . . . 240.164 ცენტნერი; აქედან სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ნატურსასყიდელი—16.444 ცენტნერი;

გორის რაიონში . . . 120.325 ცენტნერი; აქედან სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ნატურსასყიდელი—5.125 ცენტნერი;

კასპის რაიონი . . . 122.700 ცენტნერი; აქედან სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ნატურსასყიდელი—8.620 ცენტნერი.

ამასთანავე, ნათესი ფართობები, ჩაბარების ნორმები ერთ ჰექტარზე და კონტრაქტაციის გეგმა განაწილებულ იქნას ცალკეულ რაიონებსა და სექტორებზე შემდეგნაირად (იხილე დანართი—გვ. 195).

2. დაევალოს მეჭარხლეობის რაიონების პარტიულ სარაიონო კომიტეტებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—დააწესონ, ამა დადგენილების 1-ლი მუხლის შესაბამისად, არა უგვიანეს მიმდინარე წლის მარტის 30-ისა, თვითეული კოლექტიური მეურნეობისათვის, ხოლო ერთპიროვნული მეურნეობების მიმართ—თვითეული სოფლისათვის სახელმწიფოსათვის კონტრაქტაციით ჭარხლის ჩაბარების გეგმა, დაადიფერენცირონ-რა ამ ჩაბარების რაოდემობა სარწყავ და ურწყავ უბნებზე, ანგარიშში ნიადაგისა, ჰავისა და სხვა პირობების მიღებით.

3. დაველოს აგარის შაქრის ქარხანას—გაშალოს ჭარხლის კონტრაქტაცია არა უგვიანეს 1935 წლის აპრილის 1-ისა და დაამთავროს საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა დადება არა უგვიანეს 1935 წ. აპრილის 15-ისა.

წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და პარტიულ სარაიონო კომიტეტებს უზრუნველყონ ა/წ. აპრილის 5-მდე კულაკური მეურნეობებისათვის მტკიცე დავალებათა ჩაბარება, რომელთა მიხედვითაც ამ მეურნეობებმა უნდა ჩააბარონ ჭარხალი ისეთი რაოდენობით, რაც 10 პროცენტით აღემატება ერთპიროვნული შრომითი მეურნეობებისათვის თითო ჰექტარზე დაწესებული ჩაბარების ნორმას.

1935 წლის მოსავლის დაკონტრაქტებული შაქრის ჭარხლის ჩაბარების ვადად დადგენილ იქნას ა/წ. ნოემბრის 10.

4. დატოვებულ იქნას 1935 წლისთვის 1934 წელს მომქმედი რაოდენობა ჩასაბარებელ შაქრის ჭარხალზე გასაცემი შაქრისა, ბადაგისა და ნაწურისა, საკონტრაქტაციო ფულადი ავანსებისა და კოლექტიური მეურეობეობის საორგანიზაციო და აგროსაწარმოო მომსახურეობისათვის გადასადები ანარიცხებისა.

5. განთავისუფლებულ იქნას 1935 წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დით დაბეგვრისაგან შაქრის ჭარხლის ნათესები კოლექტიურ მეურნეობებსა და ერთპიროვნულ-შრომითს მეურნეობებში.

6. დაწესებულ იქნას, რომ იმ კოლექტიურმა მეურნეობებმა, რომელთაც გადაჭარბებით შეასრულეს ურწყავი ნაკვეთებიდან შაქრის ჭარხლის ჩაბარების გეგმა, უნდა მიიღონ გეგმის ზედმეტად ჩაბარებულ ჭარხალზე პრემია—არსებული სადამზადებლო ფასის წანამატი—შემდეგი რაოდენობით:

ა) როდესაც გეგმა ჭარხლის ჩაბარებისა ერთ ჰექტარზე 100 ცენტნერს არ აღემატება, გეგმის ზედმეტად ჩაბარებულ თვითეულ ცენტნერზე წანამატი უნდა გაიცეს არსებული სადამზადებლო ფასის 50 პროცენტის რაოდენობით;

ბ) როდესაც ჭარხლის ჩაბარების გეგმა ერთ ჰექტარზე 100 ცენტნერზე მეტია, ხოლო არა უმეტეს 140 ცენტნერისა, გეგმის ზედმეტად ჩაბარებულ თვითეულ ცენტნერზე წანამატი უნდა გაიცეს არსებული სადამზადებლო ფასის 100 პროცენტის რაოდენობით;

გ) როდესაც გეგმა ჭარხლის ჩაბარებისა ერთ ჰექტარწე 140 ცენტნერს აღემატება, გეგმის ზედმეტად ჩაბარებულ თვითეულ ცენტნერზე წანამატი უნდა გაიცეს არსებული სადამზადებლო ფასის 150 პროცენტის რაოდენობით;

დ) როდესაც გეგმა ჭარხლის ჩაბარებისა ერთ ჰექტარზე 200 ცენტნერზე მეტია, გეგმის ზედმეტად ჩაბარებულ თვითეულ ცენტნერზე წინამატი უნდა გაიცეს არსებული სადამზადებლო ფასის 200 პროცენტის რაოდენობით.

7. იმ კოლექტიური მეურნეობებისათვის, რომლებიც შაქრის ჭარხალს სარწყავ მიწებზე სთესენ, დაწესებულ იქნას შემდეგი პრემია—არსებული სადამზადებლო ფასის წანამატი—გეგმის ზედმეტად ჩაბარებულ ჭარხალზე:

ა) როდესაც გეგმა ჭარხლის ჩაბარებისა ერთ ჰექტარზე არ აღემატება 140 ცენტნერს, გეგმის ზედმეტად ჩაბარებულ თვითეულ ცენტნერზე წანამატი უნდა გაიცეს არსებული სადამზადებლო ფასის 50 პროცენტის რაოდენობით;

ბ) როდესაც გეგმა ჭარხლის ჩაბარებისა ერთ ჰექტარზე 140 ცენტნერზე მეტია, ხოლო არა უმეტეს 200 ცენტნერისა, გეგმის ზედმეტად ჩაბარებულ თვითეულ ცენტნერზე წანამატი უნდა გაიცეს არსებული სადამზადებლო ფასის 100 პროცენტის რაოდენობით.

9. დაწესებულ იქნას, რომ შაქრის ქარხანა აძლევს პრემიებს იმ კოლექტიური მეურნეობების თავმჯდომარეებს და იმ მემინდვრე ბრიგადების ბრიგადირებს, რომელთაც შაქრის ჭარხლის ჩაბარების დადგენილი გეგმა გადამეტებით შეასრულეს; პრემიები მიეცემათ შემდეგი რაოდენობით:

კ ო ლ ე ქ ტ ი უ რ ი მ ე უ რ ნ ე ო ბ ე ბ ი ს თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ე ბ ს:

ა) როდესაც კოლექტიურ მეურნეობაში შაქრის ჭარხლის ნათესი 20 ჰექტარამდეა, კოლექტიური მეურნეობის მიერ ერთ ჰექტარზე გეგმის ზედმეტად ჩაბარებულ ჭარხალში 10 ცენტნერიდან 20 ცენტნერამდე—150 მანეთი; 20 ცენტნერზე მეტისათვის 30 ცენტნერამდე—225 მან., და 30 ცენტნერზე მეტისათვის—300 მან.;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) როდესაც კოლექტიურ მეურნეობაში შაქრის ჭარხლის ნათესი 20 ჰექტარზე მეტია 50 ჰექტარამდე, კოლექტიური მეურნეობის მიერ ერთ ჰექტარზე გეგმის ზედმეტად ჩაბარებულ ჭარხალში 30 ცენტნერიდან 20 ცენტნერამდე—200 მან., 20 ცენტნერზე მეტისათვის 30 ცენტნერამდე—300 მან., და 30 ცენტნერზე მეტისათვის—400 მან.;

გ) როდესაც კოლექტიურ მეურნეობაში შაქრის ჭარხლის ნათესი 50 ჰექტარზე მეტია, კოლექტიური მეურნეობის მიერ ერთ ჰექტარზე გეგმის ზედმეტად ჩაბარებულ ჭარხალში 10 ცენტნერიდან 20 ცენტნერამდე—300 მან.; 20 ცენტნერზე მეტისათვის 30 ცენტნერამდე—450 მან., და 30 ცენტნერზე მეტისათვის—500 მან..

ბ რ ი გ ა დ ი რ ე ბ ს:

ბრიგადის მიერ ერთ ჰექტარზე გეგმის ზედმეტად ჩაბარებულ ჭარხალში 10 ცენტნერიდან 20 ცენტნერამდე—200 მან.; 20 ცენტნერზე მეტისათვის 30 ცენტნერამდე—300 მან., და 30 ცენტნერზე მეტისათვის—400 მან.

10. დაწესებულ იქნას, რომ კოლექტიურ მეურნეობაში, რომელსაც მომსახურეობას უწევს სამანქანო-სატრაქტორო სადგური, შაქრის ჭარხლის ჩაბარების გეგმის გადამეტებით შესრულებისათვის საშუალოდ 5—10 ცენტნერით ერთ ჰექტარზე, სამანქანო-სატრაქტორო სადგურის დირექტორს და აგრონომებს ეძლევათ პრემია შაქრის ქარხნის მიერ თვიური ჯამაგირის რაოდენობით; გეგმის გადამეტებით შესრულებისათვის 10—20 ცენტნერით ერთ ჰექტარზე—ორი თვის ჯამაგირის რაოდენობით, და გეგმის გადამეტებით შესრულებისათვის 20 ცენტნერზე ზევით—სამი თვის ჯამაგირის რაოდენობით.

11. დაწესებულ იქნას, რომ უკეთუ კოლექტიური მეურნეობის მემინდვრ ბრიგადამ უზრუნველყო მოსავლის ასაღებად, აგროტექნიკის ყველა მოთხოვნის დაცვით, არა ნაკლებ 90.000 ძირისა ერთ ჰექტარზე, ამ ბრიგადის წევრებს დაერიცხებათ შემოსავალი მათ მიერ ჭარხალზე გამომუშავებული შრომა-დღეების მთელი რიცხვის 10 პროცენტის რაოდენობით.

12. დაევალოს სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორებს და კოლექტიური მეურნეობების თავმჯდომარეებს—უზრუნველყონ დაძთავრება: შეთხელებისა—მე-6 დღეზე, რიგებშუა გაფხვირებისა—მე-18 დღეზე და შემოწმებისა—35 დღეზე ჯეჯილის გამოჩენის შემდეგ. ამის გარდა, ჩატარებულ იქნას არა ნაკლებ სამი დამატებითი გაფხვიერებისა, თანაც ამავე დროს მარგვლა რიგებში და სამჯერადი მორწყვა (გაფხვიერებით) სარწყავ ნაკვეთზე.

13. დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—უზრუნველყოს, რათა 1935 წელს ჩატარებულ იქნას სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული დავალებანი შაქრის ჭარხლის თესვისა, დამუშავებისა და მოსავლის აღების მექანიზაციის შესახებ იმ კოლექტიურ მეურნეობებში, რომელთაც მომსახურეობას სამანქანო-სატრაქტორო სადგურები უწევენ; აგრეთვე უზრუნველყოს სამან ქანო-სატრაქტორო სადგურებისათვის გამოყოფილი მანქანების შეზიდვა მეჭარხლეობის რაიონებში.

14. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, მეჭარხლეობის რაიონების სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს და პარტიულ სარაიონო კომიტეტებს:

ა) საშემოდგომო პურეულის მინდვრები, რაც დანიშნულია ჭარხლის დასათესად 1936 წელს, დაუყოვნებლივ აოშონ მომკისთანავე და აოშვა დაამთავრონ არა უგვიანეს, ვიდრე 10 დღის ვადაზე;

ბ) ღრმა ხვნა ჭარხლისათვის დაამთავრონ არა უგვიანეს ა/წ. ნოემბრის 17-ისა, ჩაჭარონ-რა ხვნა 20-22 სანტიმეტრის სიღრმეზე.

15. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—დააწესოს შემდეგი პრემიები (სამანქანო-სატრაქტორო სადგურების სახსართა ხარჯზე) აოშვისა და ღრმა ხვნის სამუშაოთა ვადამდე და რიგიანად შესრულებისათვის.

	აოშვა	ხვნა
ტრაქტორისტებს	50 კაპ. 1 ჰექტ.	1 მან. და 50 კაპ. 1 ჰექტ.
სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირებს . .	10 კაპ. 1 ჰექტ.	20 კაპ. 1 ჰექტ.
მიმომსვლელ მექანიკოსებს	5 კაპ. 1 ჰექტ.	10 კაპ. 1 ჰექტ.

დაწესებულ იქნას, რომ სამანქანო-სატრაქტორო სადგურების იმ უფროს მექანიკოსებს, რომელნიც აოშვისა და ღრმა ხვნის გეგმებს შეასრულებენ მთლიანად სამანქანო-სატრაქტორო სადგურში, ეძლევათ პრემია თვიური ჯამაგირის რაოდენობით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ავალებენ მეჭარხლეობის რაიონების პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანიზაციებს, დაეყრდნენ-რა წარსული წლების გამოცდილებას, გაშალონ ბრძოლა ჭარხლის ხაზით სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ყველა ციკლის მაღალი აგრო-ტექნიკისათვის და მიაღწიონ მათთვის დადგენილი გეგმის არა მარტო შესრულებას, არამედ აგრეთვე გადამეტებით შესრულებას.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. კ. პ. (ბ) ც.კ-ის მდივანი **ლ. ბერია.**

1935 წ. მარტის 29. № 399/.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის"-78 №-ში 1935 წ. აპრილის 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი

გეგმა 1935 წლის მოსავლის შაქრის ჭარხლის კონტრაქტაციისა სამანქანო-სატრაქტორო საღგურების ნატურსასყიდ-ლითურთ (ცენტნერობით)

რაიონები	ფართობი			ჩაბარება			დასაკონტრაქტებული მოსავლიანობა			სამანქ. სატრ. სადგ. ნატურ სასყ.	საერთო მოსავლიანობა			საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე ნატურსასყიდ-ლის ანგარიშში მიღებით		
	კოლმ. მეურნ.	ერთპ. მეურნ.	ს ულ	კოლმ. მეურნ.	ერთპ. მეურნ.	ს ულ	კოლმ. მეურნ.	ერთპ. მეურნ.	ს ულ	ცენტნ.	კოლმ. მეურნ.	ერთპ. მეურნ.	ს ულ	კოლმ. მეურნ.	ერთპ. მეურნ.	საშ. რაიონში
1. ხაშურის .	2.000	500	2.500	95.5	65	89.2	191.220	32.500	223.720	16.444	207.664	32.500	240.164	103.8	65	96.0
2. გორის . .	700	300	1.000	126	90	115.2	88.200	27004	115.200	51.25	93.325	27.000	120.325	133.3	90	120.3
3. კასპის . .	760	240	1.000	122	89	115.0	92.720	21360	114.080	8.620	101.340	21.360	122.700	133.2	89	122.7
ს უ ლ . .	3.460	1040	4.500	107.3	77,7	100.7	372.140	80.860	453000	30.189	402.329	80.860	483.189	113.3	77.7	107.3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჭრობა. მოგვარაგება.

69. დადგენილება ს.კ.ს. და ს.კ.პ. (ბ) ც.კ.

კოლექტიური მეურნეობებისა და ერთპიროვნული მეურნეობების მიერ 1935 წლის მოსავლიდან სახელმწიფოსათვის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარების შესახებ.

„კოლექტიური მეურნეობებისა და ერთპიროვნული მეურნეობების მიერ 1935 წლის მოსავლიდან სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, ბრინჯის და მზეუჭვრიტის სავალდებულო ჩაბარების შესახებ“ გამოცემული სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წლის მარტის 3-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ ცენ. აღმ. კ-ის „იზვესტია“-ს 55 №-ი 1935 წ. მარტის 4-ისა), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დატოვებულ იქნას 1935 წელს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების 1934 წელს მოქმედი წესი და რაიონობითი ნორმები, ამა დადგენილების შემდეგ მუხლებში აღნიშნული ცვლილებებით.

2. დაწესებულ იქნას 1935 წლისათვის ტფილისის რაიონების იმ კოლმეურნეობათა მიერ, რომელთაც მომსახურეობას უწევენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები, მარცვლეულის ჩაბარების შემდეგი ნორმები თესვის გეგმით გათვალისწინებულ თითოეულ ჰექტარზე გამოანგარიშებით: 0,40 ცენტნერი—ყოველგვარი მარცვლეულისა და 0,50 ცენტნერი ხორბლისა.

3. დაწესებულ იქნას 1935 წლისათვის სიღნაღის რაიონის იმ კოლმეურნეობათა მიერ, რომელთაც სამანქანო-სატრაქტორო სადგურები მომსახურეობას არ უწევენ, მარცვლეულის ჩაბარების შემდეგი ნორმები თესვის გეგმით გათვალისწინებულ თითოეულ ჰექტარზე გამოანგარიშებით: 0,70 ცენტნერი ყოველგვარი მარცვლეულისა და 0,80 ცენტნერი ხორბლისა.

4. დამტკიცებულ იქნას ერთპიროვნული მეურნეობებისათვის 1935 წლის მოსავლიდან სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების შემდეგი ნორმები, თესვის გეგმით გათვალისწინებულ თითოეულ ჰექტარზე გამოანგარიშებით (ცენტნერობით):

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ ა ი ო ნ ე ბ ი	ყოველგვარი მარცვლეულის ჩაბარების საშუალო ნორმა	აქედან ხორ.
სიღნაღის	1,10	1,20
ლაგოდეხის	1,10	1,20
ყვარლის	1,00	1,10
ხაშურის	0,80	0,90
საგარეჯოს	0,80	0,90
გურჯაანის	0,80	0,90
თელავის	0,80	0,90
ტფილისის	0,70	0,80
გორის	0,90	1,00
ალბულახის	0,70	0,80
ლუქსემბურგის	0,80	0,90
ბორჩალოს	0,80	0,90
კასპის	0,70	0,80
ახალციხის	0,70	0,80
ახალქალაქის	0,80	0,90
სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქი . .	0,70	0,80

5. დამტკიცებულ იქნას კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეობათა მიერ 1935 წლის მოსავლიდან სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების მათზე დაკისრებულ წლიურ ვალდებულებათა შესრულების შემდეგი ვადები:

კოლმეურნეობებისათვის: ივლისში—25%
აგვისტოში—50%
სექტემბერში—25%

ერთპიროვნული მეურნეობებისათვის: ივლისში—40%
აგვისტოში—50%
სექტემბერში—10%

კულაკური მეურნეობებისათვის ყოველგვარი მარცვლეულის ჩაბარების ვადად დაწესებულ იქნას 20 დღე მოსავლის აღების დაწყების დღიდან, საარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების განსაზღვრით.

6. დაევალოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და საქართველოს სსრ საარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს არა უგვიანეს 1935 წლის აპრილის 15-ისა ჩააბარონ კოლმეურნეობებს და ერთპიროვნულ მეურნეობებს მარცვლეულის ჩაბარების ვალდებულებანი კულტურების მიხედვით, შესრულების ვადის აღნიშვნით ამა დადგენილების მე-4 მუხლის შესაბამისად.

7. აიკრძალოს ხორბლის შეცვლა რაიმე სხვა კულტურით, გარდა ფეტვისა, და დაწესებულ იქნას, რომ ფეტვი მიიღება კოლმეურნეობებისა და ერთპიროვნული მეურნეობებისაგან ხორბლისა და ჭვავის ჩაბარების ანგარიშში და ჩაეთვლება კოლმეურნეობებს და ერთპიროვნულ მეურნეობებს მათი ვალდებულებების შესრულებაში შემდეგი ანგარიშით: 1 ფუთი ფეტვი 1 ფუთი ხორბლის ან ჭვავის მაგივრად.

8. აეკრძალოს ხელისუფლების ყველა ადგილობრივ ორგანოს გამოუკლებლივ, მათ შორის დამმზადებელ ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებისა და ერთპიროვნული მეურნეობებისათვის მარცვლეულის ჩაბარების შემხვედრი გეგმების მიცემა, და გაფრთხილებულ იქნან ეს პირები, რომ შემხვედრი გეგმის მიცემაში დამნაშავე პირები პასუხს აგებენ სისხლის სამართლის წესით.

9. დაევალოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში 5 დღის ვადაზე გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების განხორციელებისათვის.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. კ.პ. (ბ) ც.კ-ის მდივანი **ლ. ბერია.**

1935 წ. მარტის 28. № 382/.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის-№ 7[illegible]-ში 1935 წ. მარტის 29.

---

70. დადგენილება ს.კ.ს და ს.კ.პ. (ბ) ც.კ.

კოლექტიური მეურნეობებისა და ერთპიროვნული მეურნეობების მიერ 1935 წლის მოსავლიდან სახელმწიფოსათვის კარტოფილის სავალდებულო ჩაბარების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

193[illegible] წლის მარტის 18-ს გამოქვეყნებული, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად, დატოვებულ იქნას ძალაში 1935 წელს კოლექტიური მეურნეობების, კოლმეურნეებისა და ერთპიროვნული მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის კარტოფილის ჩაბარების ის წესი, ფასები, ნორმები და ვადები, რაც მოქმედობდა 1934 წელს, შემდეგი ცვლილებების შეტანით:

1. დამტკიცებულ იქნას კოლექტიური მეურნეობებისა და ერთპიროვნული მეურნეობებისათვის შემდეგი რაიონობითი ნორმები 1935 წლის მოსავლიდან სახელმწიფოსათვის კარტოფილის ჩაბარებისა, რაიონების ჯგუფების და 1935

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის გაზაფხულზე კარტოფილის თესვისათვის თვითეულ ჰექტარზე დადგენილი გეგმის მიხედვით (ცენტნერობით):

რ ა ი ო ნ ე ბ ი	კოლმეურნეობანი რომელთაც მომსახურეობას უწევენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები	კოლმეურნეობანი რომელთაც სამანქანო-სატრაქტორო სადგურები მომსახურეობას არ უწევენ	კოლმეურნენი, რომელთაც ნათესები განსაზოგადოებული არა აქვთ	ერთპიროვნული მეურნეობანი
1 ჯგუფი ახალციხის, ალბულახის რა ონები	8	10	14	16
2 ჯგუფი სტალინისის, ბორჯომის, ლუქსემბურგის, წალკის, ბაშკიჩეთის, ბორჩალოს რაიონები	6	7	9	10,5
3 ჯგუფი ადიგენის, ასპინძის, სიღნაღის, თიანეთის, საგარეჯოს, დუშეთის რაიონები და აჭარისტანის ასსრ	4	5	7	8,5
4 ჯგუფი ონის რაიონი	4	5	7	7,5

2. ამა დადგენილებით დაწესებული რაიონობითი ნორმები სავალდებულოა რაიონებისა და აჭარისტანის ასსრ-ის ყველა კოლექტიური მეურნეობისა, კოლმეურნისა და ერთპიროვნული მეურნეობისათვის და მათი შეცვლა არ შეიძლება.

3. დაწესებულ იქნას კოლექტიური მეურნეობებისა და ერთპიროვნული მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის კარტოფილის ჩაბარების წლიურ ვალდებულებათა შესრულების შემდეგი რაიონობითი საკალენდრო ვადები, ჩაბარების წლიური ნორმების პროცენტობით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონებისა და ავტ. რეს-პუბლიკების სახელწოდება	ივლისი	აგვისტო	სექტემბ.	ოქტომბ.	1-დან 15 ნოემბრამ-დე
ახალციხის რაიონი	—	—	6,0	57,0	37,0
ალბულახის „	16,0	4,0	12,0	57,0	11,0
სტალინისის „	—	2?	36	42	—
ბორჯომის „	—	—	—	54	46
ლუქსემბურგის „	—	25	66	9	—
წალკის „	—	—	—	63	37
ბაშკიჩეთის „	—	—	—	62	38
ადიგენის „	—	—	—	48	52
ასპინძის „	—	—	—	65	35
თიანეთის „	—	—	—	55	45
საგარეჯოს „	—	—	35	45	20
სიღნაღის „	—	—	17	50	33
ბორჩალოს „	—	17	56	27	—
დუშეთის „	—	—	—	59	41
ონის „	—	—	—	55	45
აჭარისტანის ასსრ	—	—	14	55	34

4. დაევალოს აჭარისტანის ასსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს არა უგვიანეს ა/წ 15 აპრილისა ჩააბაროს კოლექტიურ მეურნეობებს, და ერთპიროვნულ მეურნეობებს სახელმწიფოსათვის კარტოფილის მიწოდების ვალდებულებანი, ამ ვალდებულებათა აღსრულების ვადების აღნიშვნით.

5. კატეგორიულად აეკრძალოს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს და დამმზადებელ ორგანიზაციებს კოლექტიური მეურნეობებისა, კოლმეურნეობისა და ერთპიროვნული მეურნეობებისათვის კარტოფილის ჩაბარების შემხვედრი გეგმის მიცემა ან ისეთ ვალდებულებათა დაკისრება, რაც აღემატება ამ დადგენილებით განსაზღვრულ ჰექტარობითს ნორმებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა კომიტეტის რწმუნებულმა საქართველოს სსრ-ში უნდა გამოსცეს ხუთი დღის ვადაზე ინსტრუქცია ამა დადგენილების განხორციელებისათვის.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე **გ. მგალობლიშვილი.**

საქ. კ.პ. (ბ) ც.კ-ის მდივანი **ვ. ბაქრაძე.**

1935 წ. აპრილის 7. № 466/.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის" 84 №-ში 1935 წ. აპრილის 9.

ფასი 40 კაპ.

გამომცემელი საქ. სსრ ს. კ. ს-ოს / საქმ. მმართველობა 1935 წ. № 26. პ/მ. რედაქტორი **ე. გამრეკელი**

ქაღალდის ფორმატი 62×94 სანტ.; 1¾ ბეჭდვ. ფურც.; 1 ბეჭდვ. ფურც. 48.500 სტამბ. ნიშანი

გადაეცა სტამბას 7/IV; ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/V ტირაჟი 1.800

მთავლ. რწმ. ს.—№ 8741. საქ. სსრ სახ. კომ. საბჭოს სტამბა. შეკვ. № 604